

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"ეი ენდ ეი ქონსორაქშენი"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თბილისი

2019

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს "ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი"

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა-----	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა-----	5
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	10
საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება-----	12
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება-----	14
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება-----	16
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები-----	18-30
მმართველობის ანგარიშგება-----	31-35

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (განსაზღვრულს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს:

დირექტორი ----- მიხეილ კალანდაძე

მთ. ბუღალტერი ----- ლია სუბელიანი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (განსაზღვრულს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს:

დირექტორი ----- მიხეილ კალანდაძე

მთ. ბუღალტერი ----- ლია სუბელიანი



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი" მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს "ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი" (შემდგომში - „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ინდივიდუალური საქმიანობის შედეგების ანგარიშგებისაგან, ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისაგან 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს "ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი"-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მის ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასი“-განსაზღვრული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საანგარიშგებო დასასრულს ჩვენ არ ჩავვითარებთ მარაგების ფიზიკური დათვალიერება (პერიოდის დასაწყისში მარაგების ნაშთი არ იყო). ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მარაგების რაოდენობების დადასტურება, რომლებიც კომპანიას ჰქონდა 2018 წლის 31 დეკემბერს ღირებულებით 2.620 ათასი ლარი. შესაბამისად ვერ დავადგინეთ რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, და ასევე სრული შემოსავლების ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახულ მარაგებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA

კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების წარმოსადგენად.

სხვა გარემოებები

შპს "ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი"-ის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული.

ყურადღებას მივაპყრობთ იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ როგორც „ფას“-ის პირველადი გამოყენება (განსაზღვრულს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) აღნიშნულ „ფას“-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. კომპანიამ წინამდებარე 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგინა საანგარიშო წლის წინა წლის შესადარისი ინფორმაცია. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება)

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7-ე მუხლის მე-10-ე პუნქტის საფუძველზე, მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს, რომელიც გამოთქვამს თავის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების შესახებ, აღნიშნული მუხლის მე-6-ე პუნქტის მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობის თაობაზე (ავლნიშნავთ, რომ კანონის მე-7-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები კომპანიას არ ეხება).

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობის ანგარიშგების გაცნობას და იმის განსაზღვრას შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში არის თუ არა აღნიშნული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული. ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობის ანგარიშგების შესახებ.

ჩვენ გავცევით და განვიხილეთ თანდართული მმართველობის ანგარიშგება და განვმარტავთ:

მმართველობის ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღები ერთმანეთს ემთხვევა.

მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება ანუ ადგილი აქვს აღნიშნული ანგარიშგებების თანხვედრილობას.

ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამოება, რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის (განსაზღვრული მცირე და საშუალო

საწარმოებისათვის) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიას ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიას ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი

იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების

დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიას ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ვლადიმერ სიხარულიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-412208)

შპს სააუდიტორო ფორმა „ბუღალტერ-ესეპერტის“ სახელით

დირექტორი (გარიგების პარტნიორი)

თბილისი, საქართველო 27 სექტემბერი, 2019 წელი

დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიას ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ვლადიმერ სიხარულიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-412208)

შპს სააუდიტორო ფირმა „ბუღალტერ-ესპერტის“ სახელით

დირექტორი (გარიგების პარტნიორი)

თბილისი, საქართველო 27 სექტემბერი, 2019 წელი



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	ათასი ლარი		
	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	563	99	
გადახდილი ავანსები	7,861	83	
მიმდინარე მარაგები	2,620	-	
სავაჭრო მოთხოვნები	362	-	
სხვა მიმდინარე აქტივები	1,150	-	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	631	-	
ძირითადი საშუალებები	482	-	
სულ აქტივები	13 669	182	
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1,825		
გამოუმუშავებელი შემოსავალი	12 832	185	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	456		
სულ ვალდებულებები	15 113	185	
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-1,444	-3	
სულ საკუთარი კაპიტალი	-1,444	-3	-
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13 669	182	-

დირექტორი ----- მიხეილ კალანდაძე

მთ. ბუღალტერი ----- ლია სუბელიანი


27 სექტემბერი, 2019წ.

ქ. თბილისი, საქართველო

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	ათასი ლარი		
	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	563	99	
გადახდილი ავანსები	7,861	83	
მიმდინარე მარაგები	2,620	-	
სავაჭრო მოთხოვნები	362	-	
სხვა მიმდინარე აქტივები	1,150	-	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	631	-	
ძირითადი საშუალებები	482	-	
სულ აქტივები	13 669	182	
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1,825		
გამოუმუშავებელი შემოსავალი	12 832	185	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	456		
სულ ვალდებულებები	15 113	185	
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-1,444	-3	
სულ საკუთარი კაპიტალი	-1,444	-3	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13 669	182	

დირექტორი  მიხეილ კალანდაძე

მთ. ბუღალტერი  ლია სუბელიანი

27 სექტემბერი, 2019წ.

ქ. თბილისი, საქართველო

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

ათასი ლარი

	2018 წელი	2017 წელი
ამონაგები	12,833	
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-1,551	
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	-1,189	
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-115	
იჯარის ხარჯი		
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-69	
ცვეთა და ამორტიზაცია	-100	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-9,971	
საოპერაციო მოგება	-162	
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	-151	
სხვა ფინანსური შემოსავალი	26	
სხვა ფინანსური ხარჯი	-1,154	-3
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-1441	-3
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	-1441	-3
შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება/(ზარალი)	-1441	-3
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-1441	-3

დირექტორი
მთ. ბუღალტერი


მიხეილ კალანდაძე
ლია სუბელიანი

27 სექტემბერი, 2019წ.

ქ. თბილისი, საქართველო

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	ათასი ლარი	
	2018 წელი	2017 წელი
ამონაგები	12,833	
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-1,551	
დაქირავებულ პირთა გასამრგელოები	-1,189	
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-115	
იჯარის ხარჯი		
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-69	
ცვთა და ამორტიზაცია	-100	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-9,971	
საოპერაციო მოგება	-162	
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	-151	
სხვა ფინანსური შემოსავალი	26	
სხვა ფინანსური ხარჯი	-1,154	-3
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-1441	-3
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	-1441	-3
შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება/(ზარალი)	-1441	-3
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-1441	-3

დირექტორი  მიხეილ კალანდაძე
მთ. ბუღალტერი  ლია სუბელიანი

27 სექტემბერი, 2019წ.

ქ. თბილისი, საქართველო

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	ათასი ლარი	
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	860	103
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-294	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-102	-4
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	464	99
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	99	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	563	99

დირექტორი

მიხეილ კალანდაძე

მთ. ბუღალტერი

ლია სუბელიანი

27 სექტემბერი, 2019წ.

ქ. თბილისი, საქართველო

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

ათასი ლარი		
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	860	103
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-294	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-102	-4
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	464	99
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	99	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	563	99

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

მიხეილ კალანდაძე

ლია სუბელიანი

27 სექტემბერი, 2019წ.

ქ. თბილისი, საქართველო

შპს "ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი"
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ათასი ლარი			
დასახელება	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		0	0
პერიოდის შედეგი		-3	-3
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-3	-3
პერიოდის შედეგი		-1441	-1441
კაპიტალის ზრდა			
დივიდენდის გამოცხადება			
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-1444	-1444

დირექტორი

მიხეილ კალანდაძე

მთ. ბუღალტერი

ლია სუბელიანი

27 სექტემბერი, 2019წ.

ქ. თბილისი, საქართველო

შპს "ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი"
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება


დასახელება	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ათასი ლარი
			სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		0	0
პერიოდის შედეგი		-3	-3
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-3	-3
პერიოდის შედეგი		-1441	-1441
კაპიტალის ზრდა			
დივიდენდის გამოცხადება			
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-1444	-1444

დირექტორი



მიხეილ კალანდაძე

მთ. ბუღალტერი



ლია სუბელიანი

27 სექტემბერი, 2019წ.

ქ. თბილისი, საქართველო

2018 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1 შპს "ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი" (შემდგომში–კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2017 წლის 06 ივნისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 405212979. კომპანია დღგ-ის გადამხდელად დარეგისტრირდა 2017 წლის 22 სექტემბრიდან. კომპანიის მისართია - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., № 71, სართული 2, ოფისი N9 (იურიდიული და ფაქტიური). კომპანიის დამფუძნებლები (აუდიტის ჩატარების პერიოდისათვის) არიან :

- ჰალდუნ ქილიტი, 19138403706, U10674955 /თურქეთი/ – 48%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არქთრეიდი, 205039180 – 48%
- სერჰან უჩან, 42619901248, 01395000871 /თურქეთი/ – 4%

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

1.2 კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

- ა) მმართველი პარტნიორი;
- ბ) დირექტორი.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი -2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის დირექტორი - მიხეილ კალანდაძე.

1.3 ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის შესაბამისად კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიას წლიური ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულოა. კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. (შემდეგში „ფასს“-ი)

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს „ფასს“-ის ძირითადი დაშვებაა - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიას 2018 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

3 კომპანიას მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება რომელიც წარმებულია „ფასს“-ის შესაბამისად მოიცავს: ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ინდივიდუალურ საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას, ინდივიდუალურ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ინდივიდუალურ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება - პირდაპირი მეთოდით.

3.2 საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

3.3 შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის (მომსახურების) უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

კომპანიას სხვა შემოსავალს წარმოადგენს კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები, დადებითი სავალუტო საკურსო სხვაობა, საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.4 გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიას შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.5 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

3.6 საეჭვო მოთხოვნების აღიარება

სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 1 წელზე მეტი, ხდება მისი გაუფასურების აღიარება: როდესაც დებიტორთან თანხის მოძრაობა არ არის - 100%-ით, თუ არის თანხის მოძრაობა, მაგრამ ნაშთები არ იცვლება - 50%, ხოლო თუ არის თანხის მოძრაობა და მიმდინარე პერიოდის ნაშთებია მაშინ - 15%.

3.7 მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის

უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

3.8 გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ დღიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 5%;
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	- 20%;
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	-10%;
სატრანსპორტო საშუალებები, გარდა სპეციალური	
დანაშნულების სატრანსპორტო საშუალებებისა	- 20%;
კავშირგაბმულობის საშუალებები	-20%;
ოფისის აღჭურვილობა	- 20%;
კომპიუტერული ტექნიკა	- 25%
სხვა ძირითადი საშუალებები	- 8% - 25%.

3.9 გადასახადები

ბასს 12 - „მოგებიდან გადასახადების“ მიხედვით, მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას. 2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები მოგების გადასახდით იბეგრებიან, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.10 წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიას ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიას ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი ლარის) ლარის სიზუსტით.

3.11 გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766ლარი; 1 EUR=3.0701ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი; 1 EUR=3.1044 ლარი.

3.13 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის კომპანია იყენებს 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის **ბასს 39** „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ სახელმძღვანელო მითითებებს და ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას, ფინანსური აქტივების გაუფასურების გაანგარიშებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალი მოდელისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგადი მოთხოვნების ჩათვლით. მას ასევე გადმოაქვს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტის სახელმძღვანელო მითითებები **ბასს 39-დან**. კომპანია აფასებს პოტენციურ ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ ამას არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიას საქმიანობის შედეგებზე.

3.14 „შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

გამოყენებული ფასი, რომელც ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის ცვლის შემოსავლების აღიარების არსებულ სახელმძღვანელო მითითებას, მათ შორის **ბასს 18** „შემოსავლები“, **ბასს 11** „სამშენებლო კონტრაქტები“ და ფასიკ (IFRIC) **13** „კლიენტების მიმართ ლოიალურობის პროგრამები“ და ადგენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად, რა რაოდენობით და როდის ხდება შემოსავლის აღიარება ხუთეტაპიანი მოდელის შემოღებით. წინასწარი შეფასებების საფუძველზე ამ შესწორებების და ინტერპრეტაციების მიღებას, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიას საქმიანობის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე თუ გამჟღავნებულ ინფორმაციაზე.

3.15 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3.16 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები , დაშვებები და მსჯელობა

4.1 მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

4.2 სასამართლო დავები - 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა სასამართლო დავები სასამართლო დავები და სადავო თანხები აღრიცხული იქნა საექვო მოთხოვნის ანგარიშზე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

<i>ფული და ფულის ექვივალენტები</i>	31.12.2018	31.12.2017
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	321.26	96.38
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	241.58	2.83
გარანტია	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	562.84	99.21

ფულის ნაშთები საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

<i>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</i>	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო მოთხოვნები	360.83	-
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	0.39	-
წინასწარ გაწეული ხარჯები	7 860.87	82.42
სხვა მოთხოვნები	1 781.38	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8 222.09	82.42

7 სასაქონლო მატერიალური მარაგები

<i>მარაგები</i>	31.12.2018	31.12.2017
ნედლეული და მასალა	2 473.61	-
დაუმთავრებელი წარმოება	146.90	-
მზა პროდუქცია	-	-
მიწა	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 620.51	0.00

8. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება						
ნაშთი						
31.12.2017წ.	-	-	-	-	-	-
დამატება	-	473.27	-	-	109.41	582.68
შემცირება	-	-	-	-	-	-
ნაშთი						
31.12.2018წ.	0.00	473.27	0.00	0.00	109.41	582.68
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი						
31.12.2017წ.	-	-	-	-	-	-
ცვეთა	-	63.74	-	-	36.47	100.21
შემცირება	-	-	-	-	-	-
ნაშთი						
31.12.2018წ.	0.00	63.74	0.00	0.00	36.47	100.21

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო ვალდებულება	14 646.25	185.25
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	10.80	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	456.29	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	15 113.33	185.25

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

<i>თვითღირებულება</i>	<i>2018</i>	<i>2017</i>
მასალები და მომსახურება	9 970.15 -	
მზა პროდუქცია	0.00 -	
პირდაპირი ხელფასი	2 104.42	1.13
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	12 074.57	1.13

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

<i>თვითღირებულება</i>	<i>2018</i>	<i>2017</i>
სახელფასო ხარჯი	1 172.70 -	
საიჯარო ხარჯი	44.07 -	
ცვეთა და ამორტიზაცია	100.21 -	
სხვა ხარჯი	226.45	0.62
საბანკო ხარჯი	68.41 -	
კომუნალური ხარჯი	144.66 -	
ინტერნეტის და კომუნიკაციის ხარჯი	11.07 -	
შეკეთების ხარჯი	11.97 -	
ლიცენზიების ხარჯი	-	-
დაზღვევების ხარჯი	99.22 -	
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯი	324.06 -	
საკუროს სხვაობის ხარჯი	167.77	1.87
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	2 370.59	2.49

12. შემოსავალი

<i>შემოსავალი</i>	<i>2018</i>	<i>2017</i>
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	12 136.46 -	
სხვა შემოსავალი	700.49 -	
სულ შემოსავალი	12 836.95	0.00

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. ზევით ხსენებული აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს.


დირექტორი

მიხეილ კალანდაძე

მთ. ბუღალტერი

ლია სუბელიანი

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. ზევით ხსენებული აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს.

დირექტორი  მიხეილ კალანდაძე
მთ. ბუღალტერი  ლია სუბელიანი

შპს "ეი ენდ ეი ქონსტრაქშენი"

2018 წლის მმართველობის ანგარიშგება

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ეი ენდ ეი ქონსტრაქშენ“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ კომპანიას, რომელიც დაფუძნებულია 2017 წლის 14 ივნისს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405212979 მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., № 71, სართული 2, ოფისი N9 . 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლებს წარმოადგენენ: ჰალდუნ ქილითი, 19138403706, U10674955 /თურქეთი/ – 50%; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არქთრეიდი, 205039180 – 50%; კომპანიის დირექტორია მიხეილ კალანდაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოების წარმოება. კომპანია დამკვეთებს სთავაზობს თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ, კომფორტულ და ხარისხიან საცხოვრებელ ბინებსა და მრავალფუნქციურ საცხოვრებელ კომპლექსებს. კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოები გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რისი დასტურიც გახლავთ ქ.თბილისში კომპანიის მიმდინარე სამშენებლო პროექტი ჭავჭავაძის #64-ში (ჰილტონ გარდენი). კომპანიას ბინათმშენებლობის სეგმენტის ბაზარზე სურს დაიკავოს ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია, რადგანაც მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევით შესაძლებელია დასახული მიზნის მიღწევა. კომპანიის ძირითადი შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან გააჩნია.

შემოსავალი	2018	2017
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	12,136.46 -	
სხვა შემოსავალი	700.49 -	
სულ შემოსავალი	12,836.95	0.00

1.1. კომპანიის მმართველობითი ორგანოები

ა). პარტნიორთა კრება;

ბ). დირექტორი.

კომპანიის მართვა ხორციელდება საზოგადოების წესდებით.

ა). პარტნიორთა კრების ფუნქციებია:

- საზოგადოების გეგმებისა და სოციალური განვითარების საერთო მიმართულებებისა და საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- ფილიალებისა და სხვა განცალკავებული ქვედანაყოფების შექმნა, რეორგანიზაცია, საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია), კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
- იმ ხელშეკრულების დამტკიცება, რომლის თანხაც აღემატება კრების მიერ დადგენილ ზღვარს;
- დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა, მასთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;

- წმინდა მოგების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღება.

ბ). დირექტორი:

- თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარტნიორთა კრება;
- წარმოადგენს კომპანიას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

- კომპანიის მიმდინარე საკითხების განხილვა/გადაწყვეტა, რგოლებს შორის კოორდინაცია/კომუნიკაცია, მიმდინარე გეგმების განხილვა. მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი და ა.შ.

1.2. კომპანიის კაპიტალი

კომპანიის ზოგადი სტრატეგია დაფუძნებულია უცვლელია. კომპანიის საბრუნავი კაპიტალის სტრუქტურა შედგება წმინდა სესხისგან და კომპანიის კაპიტალისგან (საწესდებო კაპიტალი), რომელიც იზრდება ყოველწლიურად სანგარიშო პერიოდის მოგებით. კომპანიაზე კაპიტალზე გარე მოთხოვნები გარდა დამუფუძნებელი პირებისა არ ვრცელდება.

1.3 რისკ-ფაქტორები

კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- რთული გლობალური ეკონომიკური პირობები
- მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა
- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
- ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა
- ახალი რეგულაციები სამშენებლო სფეროში
- ახალი საბანკო რეგულაციები
- შრომის უსაფრთხოების რეგულაციები

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს კომპანიის დაკვეთებზე. კომპანიის საოპერაციო ხარჯების გარკვეული ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული ან დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე. თუმცა შემოსავლის დიდ ნაწილს კომპანია იღებს აშშ დოლარის ექვივალენტში, რადგან მისი მომსახურეობის ძირითადი ნაწილი მოდის წინასწარ მიღებულ ავანსებზე, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში. ეს გარკვეულწილად აბალანსებს კომპანიის სავალუტო რისკებს. თუმცა სავალუტო რისკები უარყოფითად აისახება თავად მომსახურეობის მიწოდებაზე, რადგან კურსის რყევის პირობებში დამკვეთს ხელი ეშლება გააკეთოს გააზრებული არჩევანი, რადგან ვერ აფასებს სამომავლო რისკებს. სამშენებლო სფეროსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა ახალი რეგულაციები, თუმცა კომპანიამ მოახერხა დამკვეთისადმი ხელსაყრელი პირობების შეთავაზება დამკვეთთან ავანსის მიღების კუთხით თანამშრომლობის გზით, რამაც აღნიშნული უარყოფითი ეფექტი შეასუსტა და გაანეიტრალა. სამშენებლო სფეროს ბოლო წლებში ახალი დამატებითი უსაფრთხოების რეგულაციებიც დაემატა (როგორც მშენებლობის მიმდინარეობისას, ასევე შექმნილ უძრავ ქონებაში შესაბამისი სახანძრო და სხვა სისტემების მონტაჟი) კომპანიას არ გასჭირვებია ახლ მოთხოვნებთან შეგუება რადგანაც აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა მომსახურეობის ღირებულებაში, მიუხედავად ამისა გარკვეული უპირატესობაც კი მოიპოვა კონკურენტებთან მიმართებაში.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად რისკს წარმოადგენს დებიტორების მიერ დავალიანებების არ გადახდა. აღნიშნული რისკის ალბათობა და კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედების მასშტაბები გაანალიზებულია და აღნიშნულის შესამცირებლად შემუშავებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, და ასევე დაწესებულია ოპერატიული მონიტორინგის სისტემა,

რომლის მეშვეობითაც კომპანია ოპერატიულად იღებს ინფორმაციას, როდესაც დებიტორის დავალიანება უახლოვდება სარისკო ნიშნულს, ასევე გადახდის ვადის ვადაგადაცილების შესახებ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის საფუძველზე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები ვალის ამოღებასთან დაკავშირებით.

<i>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</i>	<i>31.12.2018</i>	<i>31.12.2017</i>
სავაჭრო მოთხოვნები	360.83 -	
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	0.39 -	
წინასწარ გაწეული ხარჯები	7,860.87	82.42
სხვა მოთხოვნები	1,781.38 -	
<i>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</i>	<i>8,222.09</i>	<i>82.42</i>

1. მართვის სისტემა

2.1 მართვის პრაქტიკის მიმოხილვა:

კომპანიის მიზანს წარმოადგენს მართვის სისტემის სრულყოფა და სისტემატიზაცია აგრეთვე მისი ჰარმონიზაცია და შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან და პრინციპებთან. აღნიშნული დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, პარტიორთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და სხვა საკითხებთან. კომპანია აცხადებს მზაობას ყოველივე ზემოაღნიშნული განახორციელოს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- თანასწორობა - თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა პარტნიორის თანაბარ შესაძლებლობას დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში იარსებებს ქმედითი მექანიზმი. გაუგებრობის გამოსარიცხად.
- კომპანიის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა - პარტიორისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პარტიორთა კრებებში, დროულად მიიღონ ინფორმაცია საერთო კრების გამართვის შესახებ, ასევე საერთო კრებაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, წერილობით წარდაგინონ თავიანთი პოზიცია, ამასთანავე დროულად მიეწოდოთ ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, ასევე მიიღონ ნებისმიერ სხვა ინფორმაცია დროულად, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.
- გამჭვირვალობა - უზრუნველყოფილია კომპანიის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ფინანსური და ეკონომიკური, საკუთრებისა და მართვის შესახებ, ასევე ბაზარზე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გახსნის მექანიზმის ეფექტური არსებობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა, რათა პარნიორებსა და პოტენციური ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.
- თანამშრომელთა ჩართულობა - უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების მით უფრო

კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, კომპანიის აქტივების ზრდისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

- თანამშრომლების განათლების ხარისხი, გამოცდილება და კომპეტენტურობა. სწორედ ამიტომ კომპანია მუდმივად ცდილობს, ხელი შეუწყოს დასაქმებულების პროფესიონალურ განვითარებას და გამოცდილი კადრების მოზიდვას.

დირექტორი

მიხეილ კალანდაძე

დირექტორი

მიხეილ კალანდაძე

მთ. ბუღალტერი

ლია სუბელიანი

27 სექტემბერი, 2019წ.

ქ. თბილისი, საქართველო

კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, კომპანიის აქტივების ზრდისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

- თანამშრომლების განათლების ხარისხი, გამოცდილება და კომპეტენტურობა. სწორედ ამიტომ კომპანია მუდმივად ცდილობს, ხელი შეუწყოს დასაქმებულების პროფესიონალურ განვითარებას და გამოცდილი კადრების მოზიდვას.

დირექტორი

მიხეილ კალანდაძე

დირექტორი

მიხეილ კალანდაძე

მთ. ბუღალტერი

ლია სუბელიანი

27 სექტემბერი, 2019წ.

ქ. თბილისი, საქართველო